ხაშურის მოამბე

№1 11 იანვარი, ორშაბათი, 2015 წელი

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამაში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან 25 სოფელი მოხვდა

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 1582 დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. დასახლებათა ნუსხა, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წარდგინებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი დასახლების ნუსხაში შეტანიდან 10 წლის განმავლობაში არ გადაიხედება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდებარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლისის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებსაც მიენიჭოს.

ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

მაღალმთიანი დასახლებების ნუსხის გადახედვას მთის განვითარების ეროვნული საბჭო 2016 წლის 1 აპრილამდე გეგმავს.

სასიამოვნოა, რომ ზემოაღნიშნულ 1582 დასახლებულ პუნქტს შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებიც მოხვდნენ. ესენია: დუმაცხოვი, კლდისწყარო, ტკოცა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ცედანი, ცივწყარო, რბონა, ქაშვეთი, დამჩხეულა, ყობი, კლდისწყარო, წაღვლი, ტიტვინის წყარო, იმერლიანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი, დიდი ხავლეთი, დიდი ყელეთი, პატარა ხალები, ღართა, სარტყელა, ალექსანდრეს წყარო, დიდი თხილნარა, პატარა თხილნარა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 1 იანვრიდან ეს კანონი უკვე ძალაშია, რომლის თანახმადაც, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის სოციალური შეღავათები დაწესდა. პირველი იანვრიდან მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი საგადასახადო შეღავათების ნაწილში სრულად ამოქმედდა, რაც გულისხმობს, რომ არალიცენზირებული საქმიანობის გარდა, ყველა ტიპის წარმოება გადასახადებისგან (გარდა დღგ-სა) თავისუფალია. ასევე, ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერის მიზნით ძალაში შევიდა პირველ და მეორე ბავშვზე ყოველთვიური 100 ლარიანი დახმარება. სექტემბრიდან სოფლის ექთნები 180 ლარიან დანამატს მიიღებენ, სოფლის ექიმებისთვის კი გათვალისწინებულია 360 ლარიანი დანამატი. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის პენსია სექტემბრიდან 216 ლარამდე გაიზრდება.

შობა-ახალ წელს ხაშური ლამაზ ფერებში შეხვდა

ახალ წელს ხაშური გამორჩეულად ლამაზი იყო. ქალაქის მთავარი ქუჩები სადღესასწაულოდ განათდა, რითაც, ნამდვილად, საზეიმო განწყობა შეიქმნა მოსახლეობაში. გასულ წლებთან შედარებით,წელს ხაშურიც შეეცადა სხვა დიდი ქალაქების მსგავსად საახალწლო მაჯისცემისთვის ფეხი აეწყო და ახალ 2016 წელს ახალი შემართებით, გალამაზებული და განათებული შეხვედროდა. საახალწლო განათებებზე ჩატარებულ სამუშაოებზე შპს „ქართლი 2013” წარმომადგენელს ზურაბ გოგოლაძეს გავესაუბრეთ.

-ბატონო ზურა, მოგვიყევით ჩატარებულ სამუშაოებზე?

ნამდვილად, დიდი სამუშაოები გავწიეთ. პირველ რიგში, უღრმესი მადლობა იმ ბიჭებს, ელექტროშემკეთებლებს,რომლებიც მხარში ამომიდგნენ, მათი მხარდაჭერით და გვერდზე დგომით მივაღწიეთ შედეგს. მიუხედავად საქმის სირთულისა, პატრიოტული სულისკვეთებით შევეჭიდეთ ამ საქმეს და მე მგონი, გამოგვივიდა, ვინც გვხვდება ყველა მადლობას გვიხდის და, რა თქმა უნდა, ეს მიხარია.

-ბატონო ზურა, ხაშურის მუნიციპალიტეტის რომელი ქუჩები განათდა საახალწლოდ?

განათდა ცენტრი, რუსთაველის ქუჩა, ლომოურის ქუჩის კვეთამდე, ტაბიძის ქუჩა და პარკის მიმდებარე ტერიტორია, აღმაშენებლის ქუჩა, ასევე სურამში დაიდგა ნაძვისხე და და საახალწლოდ განათდა სურამის ცენტრიც.

-საახალწლო განათებებში დახარჯულმა თანხამ რა რაოდენობა შეადგინა?

29992 ლარი. ამ თანხაში შედიოდა როგორც მასალების, ასევე საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯებიც, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წინა წლებიდან მორჩენილი მასალაც გამოგვადგა გასაფორმებლად და უფრო მეტი ტერიტორია განათდა.

-ბატონო ზურა, გარდა საახალწლო გაფორმებებისა, კიდევ რა სერვისს სთავაზობს თქვენი სამსახური მოსახლეობას?

შპს „ქართლი 2013” უკვე მესამე წელია საახალწლოდ აფორმებს ხაშურს. გარდა ამის, ვმონაწილეობთ ხაშურის სოფლების გარე განათების პროგრამებში. მთელ რიგ სოფლებს უზრუნველყოფთ გარე განათებით და დაზიანების შემთხვევაში ამ დაზიანებებს აღმოვფხვრით.

პირადად, მე საახალწლო განწყობა ნამდვილად ამიმაღლა ხაშურის წლევანდელმა საახალწლო განათებამ. ვიმედოვნებ, მომდევნო წლებში უფრო მეტი ქუჩა განათდება და სილამაზეში ტოლს არ დაუდებს სხა ქალაქებს. ახალი წელი ხომ საყოველთაო დღესასწაულია და ერთნაირად ახარებს დიდსაც და პატარასაც, კარგი გარემო კი ერთი ორად ზრდის განწყობას.

თ. ახალკაცი

დროა, მთავრობამ ამახე იხრუნოს

გასაკვირი თითქოს არაფერია იმ ქვეყანაში, სადაც დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად აგებულ მემორიალს ანგრევენ და ველოსიპედს უდგამენ ძეგლს, ხელისუფლებაში ტაშისკვრით მოსულ პრეზიდენტებს ზარბაზნებისა და ტანკების გრუხუნით აგდებენ ქვეყნიდან, სხვა ქვეყნის პრეზიდენტებს კი ძეგლებს უდგამენ, სადაც წმინდა ეროვნული ღირებულებების წინ უცხოურს, ადგილობრივი ტრადიციებისათვის მიუღებელს იყენებენ, სადაც გადამთიელთა სკამზე ერთი ადგილის დასადებად ქვეყნის განმასახიერებელ პირველ პირს შეუძლია უარი თქვას სამშობლოს მოქალაქეობაზე და ამით ფეხქვეშ გათელოს ყველაფერი ადამიანური და სახელმწიფოებრივი, რის ჩამოყალიბებასაც ათეულობით საუკუნეები დაჭირდა.

არც ის გამიკვირდება, ვინმე ტუჩზე რძეშეუმშრალი არასამთავრობო თუ უფლებადამცველთა წარმომადგენელი, ენაწატლეკილი წურბელა რომ გამოვიდეს და განაცხადოს: ეს ადამიანის უფლებაა, ეს მისი პირადი ცხოვრებაა და ა.შ.

ვაი, მის პატრონს, ვისაც ღღევანდელობის გარდა არც წარსულისა გაეგება რა და არც მომავლის განჭვრეტის უნარი აქვს, თორემ სხვა თვალით შეხედავდა ცხოვრებას.

ნათქვამია: მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენო. თუ შენი მეგობარი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა თავის პირადულ ინტერესებს აყენებს, შენც არა ხარ ქვეყნისათვის სასარგებლო და საიმედო ადამიანი. ვისაც შეუძლია სამშობლოს გამყიდველთან იმეგობროს და ბოლომდე დარჩეს მისი ერთგული, ის არც არის ღირსი რომ მშობლიური ხალხის წიაღში ცხოვრობდეს, რაც უფრო მეტი ასეთი უღირსი დატოვებს საქართველოს, და უფრო მალე, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

მერვე ათწლეულში გადამდგარმა კაცმა 18 საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობა გამოვიცვალე. ყველა მთავრობა აშენება-დამშვენებას გვპირდებოდა. მსოფლიო ვითარდებოდა და, მეტნაკლებად, ვითარდებოდა ჩვენი ქვეყანაც, თუმცა, მოსახლეობის ყველა სურვილის დაკმაყოფილება ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო და ვერც მომავალი ათჯერ თვრამეტი შეძლებს. მთავარია, რეალური შესაძლებლობების ფარგლებში გადაიდგას

ყველა საჭირო ნაბიჯი ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად.

გასაკვირი თითქოს არაფერია,მაგრამ მე მაინც ბევრი რამ მიკვირს. 70 წელი კომუნიზმის კარებზეც ვაკაკუნეთ და არ გაიღო,ახლა კი გვინდა უცებ ნატოს კარიც გაგვიღონ და ევროკავშირისაც. პირადად მე არცერთი კავშირი არ მხიბლავს, რადგანაც არაბუნებრივი,ხელოვნურად შეკოწიწებული კავშირები იქმნებიან და იშლებიან. ამის მაგალითად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბედიც გამოდგება.

განა გასაკვირი არაა, როცა მთავრობა სოფლის მოსახლეობას უფასოდ უხნავს მიწის ნაკვეთებს, აძლევს ქიმიური თუ მექანიკური დამუშავებისთვის ხელსაწყოების შეძენის საშუალებას, უნაზდაურებს სტიქიით დაზარალებულ სასოფლო-სამეურნეო მოსავლის, საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობათა დაზიანების გამო მიყენებულ ზარალს, მაგრამ მაინც უმადურობას ნერგავენ, თითქოს მთავრობას შეეძლო ქოლგა გადაეფარებინა ქვეყნისთვის, ეს მან არ გააკეთა და ზარალი ვერ აიცილა.

განა გასაკვირი არაა, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განგაშს ტეხენ ქუჩაში თუ გზებზე ორმოს ან სხვაგვარი დაზიანების აღმოჩენისას, მაშინ როცა არაფერს ამბობენ კილომეტრობით გადაჭიმული ახალი გზებისა და მოპირკეთებული ქუჩების შესახებ. ვინმემ ამიხსნას მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არსებობს გზა ან ქუჩა, სადაც დაზიანება არ ხდება. ვინმემ დამარწმუნოს იმის აუცილებლობაში, რომ მსოფლიომ უნდა იცოდეს საქართველოს რომელიღაც დასახლებულ პუნქტში გზის საფარი დაზიანდა და მანქანას შეუფერხებლად გადაადგილება უჭირსო. ასეთი ინფორმაციებისთვის უნდა იხარჯებოდეს ძვირფასი საეთერო დრო?

განა გასაკვირი არაა, როცა ქართული საინფორმაციო საშუალებები მსოფლიოს აცნობენ, რომ საქართველოში ვიღაცამ ვიღაცას ქათამი მოპარა და დანაშაული გახსნილია ან გაუხსნელიო.

ვინმემ დამისაბუთოს, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ ხდება დანაშაული და ვინმემ დამარწმუნოს იმის აუცილებლობაში, რომ მომხდარი ქათმის ქურდობის შესახებ უნდა იცოდეს მთელმა მსოფლიომ, თორემ კაცობრიობას განადგურების საშიშროება დაემუქრებაო. ცალკეული ფაქტები უნდა გაშუქდეს იმ შემთხვევაში, თუ მასში რაღაც განსაკუთრებული შეინიშნება. მშიერმა ბავშვმა რომ ფუნთუშა მოიპაროს, მსოფლიოს უნდა ვამცნოთ?

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საინფორმაციო საშუალებები ხშირად ვერ ანსხვავებენ ერთიმეორისგან ქურდობას, ძარცვას და ყაჩაღობას, რის გამოც კანონმდებლობაში გარკვეული მსმენელისთვის გაუგებარია, ფაქტის რომელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

განა გასაკვირი არაა, როცა შენი ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილი ჩასაფრებულის პოზიციაშია და ნებისმიერ მომენტში მზადაა ლაფი შეასხას საკუთარ სახელმწიფოს და მსოფლიოში წარმოაჩინოს იგი მხოლოდ უარყოფითი მხარეებიდან? ასეთ პირებს შენ თვითონ დაარქვი სახელი, მკითხველო. არ შეუშინდე გრანტიჭამიებს, რომ სიძულვილის ენით ლაპარაკი დაგწამონ.

განა გასაკვირი არაა, როცა სხვადასხვა სახის დანაშაულების ჩადენისთვის სასჯელს იხდიან ქვეყნის პრემიერმინისტრი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი, დედაქალაქის მერი, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული ქვეყნის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი, დარგობრივი მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირი. მთავრობას კი უნიათოს უწოდებენ.

გასაკვირია როგორ იტანს ამდენ ლანძღვა-გინებას მთავრობა. ნუთუ მას დამცველი და პატრონი არ ჰყავს?

გასაკვირი ისიც ხომ იქნებოდა, „ღღევანდელ ხელისუფლებასაც რომ გეზი აეღო „ყველანი ციხეში“-ს მიმართლებით და პასუხისგებაში მიეცა საარჩევნო კომპანიაში ჩართული ყველა დონის გამყალბებელი პირი და ყველა საჯარო მოსამსახურეკვინც სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდა. მაშინ,ასეთ შემთხვევაში, ხომ სისხლის სამართლის წესით გასამართლებულთა რიცხვი დიდად გადააჭარბებდა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დროს რამდენიმე ასეულათასს.

განა გასაკვირი არაა, როცა წინა ხელისუფლების ნარჩენები ღღევანდელ ხელისუფლებას უყიჟინებენ გაუხსნელი დანაშაულის გამო და ივიწყებენ მათი მოღვაწეობის დროს ჩადენილ დანაშაულებს, რომელთა შემოქმედნიც, არც თუ ისე იშვიათად, თვითონ იყვნენ?

გულწრფელად და გულისტკივილით განვიცდი და ვიზიარებ ყველა მოკლულისა და მათი ოჯახის ტრაგედიას, მაგრამ მოქალიკეებს ისიც მინდა შევახსენოთ, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც ჩადენილ დანაშაულთა 100% იხსნებოდეს. ღღემდე საეჭვოა აშშ-ის პრეზიდენტის, კენედის მკვლელობის გამოძიების შედეგები. მხოლოდ ღმერთმა იცის, ის ფსიქიურად დაავადებულმა ოსვალდმა მოკლა თუ ძალიან მაღალ დონეზე დაგეგმილმა და ჭკვიანმა ორგანიზებულმა ჯგუფმა.

განა გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებაში წარმოუდგენია?

განა გასაკვირი არაა, როცა მოქალაქეთა ნაწილი თავგამოდებით ითხოვს საკუთარი სურვილით, პირადი საჭიროებისათვის ბანკებიდან აღებული ვალის გასტუმრებას სახელმწიფოს მიერ? თაღლითობის ყველა მსხვერპლს ვუთანაგრძნობ, მაგრამ ასეთი პრეცედენტი რომ დაუშვან, მთელი მოსახლეობა ბანკების ვალებში ჩაეფლობა, სახელმწიფო კი მათ მაგივრად ვალს აღარ გადაიხდის და რა მოხდება, ღმერთმა იცის, თუმცა გამონაკლისი შემთხვევები აქაც დასაშვებია. გაჭირვებულთა ხსნით ქვეყანა არ დეაიქცევა.

განა გასაკვირი არაა, როცა წერენ და ლაპარაკობენ ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებათ, მათ შორის უკადრისსაც და ამავე დროს გაიძახიან, სიტყვის თავისუფლებას გვიზღუდავენო? უზრდელი რესპოდენტები ტელეეკრანიდან დედის გინებამდე ილანძღებიან, ათასგვარ ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ და თან ამატებენ: სამართალი არ არსებობსო. ნაწილობრივ მეც ვეთანხმები მათ ამაში. სამართალი რომ არსებობდეს პროვოკატორებს და ცილისმწამებლებს ტელესტუდიაშივე დავაპატიმრებდი.

ხშირად ლაპარაკობენ მთავრობის თმენის ვალდებულებაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ თმენასაც აქვს საზღვარი და ბოლო წვეთს შეუძლია ფინჯნიდან სითხის გადმოღვრა.

განა გასაკვირი არაა, როცა უმადურობაში სამუშაო ადგილების სიმცირის გამო უდიერად ლანძღავენ ღღევანდელ მთავრობას, თითქოს ისინი წინა ხელისუფლებამ მრავალსართულიან ანაზღაურებად სამუშაოზე დატოვა?

გულსატკენია გავრცელებული უმადურობა, რასაც გულმოდგინედ ნერგავენ მთავრობისა და ქვეყნისადმი უარყოფითად განწყობილი ვაიპატრიოტები.

ხშირად მიფიქრია: კი, მაგრამ ამ მთავრობას პატრონი არ ჰყავს, რომ გამოესარჩლოს და დაიცვას იგი უხამსი და არაობიექტური თავდასხმებისგან? ნუთუ ვერ უნდა მიაღწიოს ხალხის ხმამ მედიასაშუალებების ვაიხელმძღვანელებამდე, რომ მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია იმ პოზიტიური ძვრების შესახებაც, რასაც ადგილი აქვს ქვეყნის განვითარების გზაზე?

მთავრობა, არცთუ ისე იშვიათად, თავის მართლების პოზიციაში დგას. კი მაგრამ ვის წინაშე იმართლებთ თავს? სამშობლოს გამყიდველთა ხროვის წინაშე? უპატრონო არავის ეგონოთ. თქვენს გვერდით მილიონობით მოქალაქე დგას, რომლისთვისაც ძვირფასია ქვეყნის უკეთესობისაკენ განვითარების მიმართულება, ღარიბი, მაგრამ მშობლიური ქვეყნის ღირსება.

მე ნაციონალური მოძრაობის რიგებში ბევრი ღირსეული ადამიანი მეგულება. უარყოფითს ვერ ვიტყვი ჩვენი რაიონის ყოფილ ხელმძღვანელებზე. მათთან მცირედი კონტაქტების დროსაც კი ვამჩნევდი პირადულ ღირსებებს და ვფიქრობდი, რომ ამ ადამიანებს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ. ახლა მათ მიმართ ხალხი ამრეზილად იყურება და აქვს კიდევაც ამის საფუძველი. მათ უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და გაემიჯნონ ნაციონალური მოძრაობის იმ ხროვას, რომელიც ძალიან მაგრად გაირეცხა სინდის-ნამუსისგან და ერთგული ძაღლივით საფლავამდე მისდევს სამშობლოს ინტერესების ფეხქვეშ გამთელავ გუნდს, რომლის ძირითად ბირთვს ათიოდე ადამიანი წარმოადგენს.

ძნელია, მაგრამ არაა დამამცირებელი და ტრაგიკული რომ შეიცვალო პოლიტიკური ორიენტაცია. დრონი იცვლებიან და სიახლეების არ უნდა გეშინოდეს. ფანატიკურმა კომუნისტებმაც კი პარტბილეთები დახიეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ცრუ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ. დამარცხებულ კომპარტიას რევანშისთვის არ მიუმართავს, თუმცა, ამის საკმაო რესურსები გააჩნდა.

მე ღღევანდელი მთავრობის მოღვაწეობაშიც ბევრ უარყოფითს ვხედავ, მაგრამ ამ წერილის მიზანს მისი კრიტიკა არ წარმოადგენს. პირიქით, გული მტკივა, რატომ ხალხი მათ ნაკლებად იცავს. გვავიწყდება, რომ დამქირავებელ-დაქირავებული ერთიმეორეს უნდა უფთხილდებოდეს, მითუმეტეს თუ ეს ქვეყნის ინტერესებს ეხება.

მთავრობის წევრები გამოდიან და ამბობენ: ჩვენ არა გვაქვს ჩვენი ტელევიზია, არ ვერევით არცერთი ტელევიზიის საქმიანობაში, ვისაც რა უნდა ის ილაპარაკოს, ხალხი ყველაფერს ხედავს და განსჯისო.

არა ბატონებო, ეგრე არ არის, ასეთი დემოკრატია დაგღუპავთ ისე, „როგორც დაღუპა რქებმა ირემი“. ხალხს ყოველი მხრიდან თქვენს შესახებ უარყოფითს ეჩიჩინებიან, რის გამოც თანდათანობით უყალიბდება არაობიექტური აზრი და შესაძლებელია ამ აზრმა ერთად მოიყაროს თავი საარჩევნო ყუთებში. ეს რომ ასე არ მოხდეს, ცოტა ყურები გამოიჩიჩქნეთ და თავი მეტად გაანძრიეთ. გაკეთებული საქმის წარმოჩენას პოპულიზმში ვერავინ ჩაგითვლით.

თქვენი დიდი შეცდომა კოჰაბიტაციურ პირობებში მუშაობა იყო. მესანგრე გამნაღმველი შეცდომას ორჯერ არ უშვებს. თქვენ პირველ აფეთქებას სასწაულებრივად გადაურჩით. არ დაუშვათ მეორე, რომლის ასარიდებლად გთავაზობთ:

1. შექმნათ სამთავრობო ტელევიზია, ან: 2. ყველა არსებული ტელევიზიიდან შეისყიდოთ თითოსაათიანი საეთერო დრო და მოგვაწოდოთ აუცილებელი ინფორმაცია მთავრობის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ეს იქნება ხალხისადმი ანგარიშების ჩაბარების საუკეთესო საშუალება. შეეცადეთ გვიჩვენოთ კმაყოფილი ადამიანებიც, რომლებიც მრავლად არიან ჩვენს შორის.

მე, როგორც თქვენი ამომრჩეველი, გირჩევთ ყურად იღოთ ზემოთ წამოყენებული წინადადება და ამით, თუ პატრონი არ გყავთ, თვითონ უპატრონეთ და დაიცავით თქვენი თავი, ანუ საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთ.

მოხარული ვიქნები, თუ ისე გაძლიერდებით, რომ შეძლებთ ბურთი არა მარტო მოწინააღმდეგის კარებში გაიტანოთ, არამედ პირში ჩასჩაროთ მათ და არ მისცეთ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის ქადაგების საბაბი და საშუალება, რითაც თანდათანობით იხრწნება ჯანსაღი და ობიექტური აზრი.

რეზო გრიგალაშვილი

მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული კომპოზიციის წრე-პოეზიის მუსიკით სავსე ადგილი

ისე ვართ გადართული ყოველდღიურ, რუტინულ ყოფაში, ხშირად გვეპარება მთავარი მომენტი, რომ ჩვენი არსებობა მხოლოდ ერთი დღისთვის განკუთვნილი რეფლექსები არაა და რომ საზოგადოებაში ცხოვრებას სხვა გამოწვევები და მოთხოვნილებები აქვს-ამ საზოგადოებაში დამკვიდრებასაც გარკვეული

ადაპტირება სჭირდება შემდგომი პიროვნული ორიენტირებისათვის. ჩვენს პიროვნებას კი ბავშვობიდანვე სწორად შერჩეული ფასეულობები აყალიბებენ-პოეზია, მუსიკა, ცეკვა, ხატვა-ავსებენ, საზრდოს აძლევენ და შინაგან მდგომარეობას უქმნიან ადამიანს.

"მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული კომპოზიციების წრე"-ესაა პოეტ ეკა ბაქრაძის მიერ შექმნილი და პოეზიის მუსიკით სავსე ადგილი, სადაც ბავშვები სწავლობენ თითო ბგერის ხმოვანებას, ჟღერადობას. უფრო პრაქტიკულად, ესაა წრე, სადაც ერთთვიანი მუშაობის შედეგად დაიბადა პოეზიის სიყვარული, ლექსისადმი დამოკიდებულების გაგება, შინაგანი მდგომარეობის წვდომა. ბავშვები, რომლებიც პოეზიის სიყვარულმა დააკავშირა, ეცნობიან ქართველ პოეტებს, სწავლობენ ბგერების სწორად გამოთქმას, ემოციების მართვას და სწორად გადმოცემას. ეკა ბაქრაძემ ბავშვებთან ერთად „შემოდგომის ნოსტალგია" პირველი აუდიტორიისთვის ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, ნაზი კილასონიას, ჯუმბერ ბედიანაშვილის, მურად მთვარელიძის პოეზიით გააფერადა. ეს იყო ბავშვური გრძნობების, ემოციების, გულწრფელობის, დრამატიზმის, მუსიკის რამდენიმე წუთი. მათგან წამოსული სითბო, დღესაც ახსოვს და ამშვიდებს გულს. საიდან მოდის ეს ემოცია, როგორ იქმნება განწყობა ლექსის შეგრძნების, ამ თემებზე წრის "დიასახლისს", ეკა ბაქრაძეს ვესაუბრეთ:

–ეს არის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული კომპოზიციების წრე. როდესაც თბილისში ვცოვრობდი, ამ ტიპის მუშაობას ვეწეოდი, დაახლოებით 2003-2005 წლებში. მყავდა მსახიობების ჯგუფი, რეჟისორი. პოეზიას ვდგამდით სპექტაკლად. საცდელად ავიღეთ ჩემი ლექსები, რომელზეც თეატრალური კომპოზიცია გააკეთა რეჟისორმა. ოთხი კურსდამთავრებული იყო მედეა კუჭუხიძის ჯგუფიდან. მათი დახმარებით ვაწყობდი პოეზიის საღამოს, შეხვედრებს ხელოვანებთან და შევქმენით უზარმაზარი არქივი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან სცენაზე ვდგავარ და ეს უცხო არ იყო ჩემთვის, მაინც დიდი გამოცდილება მივიღე, რაც მათთან დავინახე და ვისწავლე, ეს იყო ერთი დიდი სკოლა. გავიდა გარკვეული დრო, გამიჩნდა სურვილი გამეკეთებინა სატელევიზიო პროექტი, საქართველოს პოეზია XIX საუკუნიდან, თუმცა რაღაც მიზეზების გამო, ეს იდეა არ განხორციელდა. 7 წელია მშობლიურ ქალაქში ვარ, პირველივე დღიდან დავიწყე ფიქრი ამაზე, შევაგროვე ბავშვები სხვადასხვა სკოლიდან და ენთუზიაზმზე ვმუშაობდი. სურამში გავაკეთეთ პირველი ღონისძიება. შემდეგ ვიფიქრე ამ ყველაფრისთვის სერიოზული სახე მიმეცა და ხაშურის №1 საჯარო სკოლაში გავაკეთეთ ეს წრე. შეიკრიბნენ ბავშვები.

ეს წრე არ ემსახურება მხოლოდ ერთჯერად მიზანს, მისი ცხოვრებაში გამოყენება მოხდება-მეტყველება დაეხვეწებათ, მე არ ვამბობ იმას, რომ ქუჩაში და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც ამ ხმის ტემბრით და მანერებით უნდა ისაუბრონ, მაგრამ გამართულად მეტყველება ყველასთვის მისაღებია. წავაკითხე ლექსები, პირველ რიგში გავიგე მათი ხმის ტემბრი, შევამოწმე პირის აპარატი. მნიშვნელოვანია ჰქონდეს არტისტული მანერები. ერთი გოგონა, რომელსაც წავაკითხე ლექსი, დავინახე, რომ იყო ძალიან არტისტული და ჰქონდა პოტენციალი, მაგრამ უფუნქციოდ იყენებდა ხელების მოძრაობას. თუმცა, ერთთვიანი მუშაობის შემდეგ ძალიან კარგი შედეგი გვაქვს.

ძირითადი აქცენტი მინდა, იყოს პოეზიაზე. თუ მომეცემა შესაძლებლობა ეს იქნება პოეზიის თეატრი და სპექტაკლები გვექნება მუსიკალური გაფორმებით. ბავშვებმა მთხოვეს, თუ არ დაგვემატებიან ბავშვები, ხო არ დავშლიდით ჯგუფს. ეს ნიშნავს, რომ კომფორტულად გრძნობენ თავს. ძირითადად სანაცნობო წრიდან დამიკავშირდნენ, დადიან სოფლის სკოლებიდანაც, მათ გარკვეულ შედავათებს ვუკეთებ. ბავშვები გაიხსნენ უფრო მეტად, მოიხსნეს საზოგადოებაში დამკვიდრებული კომპლექსები, რაც კარგი დასაწყისია, რომლის გაგრძელების და განვითარების დიდი იმედი მაქვს.

პირველმა აუდიტორიამ დადებითად შეაფასა წრის ერთთვიანი მუშაობა.

მურად მთვარელიძემ ამ წრის არსებობის მნიშვნელობაზე, ეკას პროფესიონალიზმზე ისაუბრა- "ეკა ბაქრაძე რომ არ გყავდეს, უნდა გამოიგონო"- გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა. სურამის კულტურის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნონა ფხიკიძემ სურამის კულტურის ცენტრში დაპატიჟა ბავშვები, სადაც სურამსაც პოეზიით გამთბარ კიდევ ერთ დღეს აჩუქებენ.

თ. ჯავახიშვილი

რკინიგზის პროფკავშირი რკინიგზელთა ბავშვებზეც ზრუნავს

"საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის" თავმჯდომარემ ზურაბ ნასარაიამ, ახალი, 2016 წლის დადგომა მიულოცა და სიმბოლური საჩუქრებით "ბარამბოს" ტკბილეულით დაასაჩუქრა "საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის" წევრი ყველა რკინიგზელი.

ასევე, ბავშვთა გასართობ ცენტრებში გამართულ საახალწლო ზეიმებზე დასასწრები მოსაწვევები გადასცა 3-დან 10 წლამდე ასაკის პატარების მშობლებს.

უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ადმინისტრაციის ინიციატივით, სამმართველოს პროფესიული კავშირის კომიტეტის წევრებმა მოინახულეს ქ. ხაშურში მდებარე ბავშვთა საოჯახო სახლები, ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს საოჯახო სახლების აღსაზრდელებს.

საახალწლო საჩუქრები გადაეცათ აგრეთვე უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოში მომუშავე მრავალშვილიანი რკინიგზელების პატარებს.

"საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი" და უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს კოლექტივი ულოცავს მთელ საქართველოსთან ერთად ქალაქ ხაშურის მოსახლეობას 2016 წლის შემობრძანებას და უსურვებს მშვიდობას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ხაშურელი მოსწავლე გაეროს კონფერენციის მონაწილე გახდა

ქვეყანაში მიმდინარე საგარეო პოლიტიკა მეტ შესაძლებლობას აძლევს მომავალ თაობას, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, მოიპოვონ, გაცვალონ და გასცენ ინფორმაცია, ისეთ თემებზე, რომელიც აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეს კი მნიშვნელოვანია მათი ლიდერული თვისებების და ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ, ჩვენი რაიონი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ჩართულობით და აქტივობებით. VIII საჯარო სკოლის მოსწავლე, ნინი გიორგაძე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის V საერთაშორისო კონფერენციაზე წარსდგება მოხსენებით, რომელიც სიღარიბის დაძლევის გზებს შეეხება ლოკალური რაიონის(ამ შემთხვევაში ხაშურის) მაგალითზე. თუ რა გზა გაიარა გაეროს დელეგატობამდე, თავად ნინი ისაურებს:

–ვნახეთ საიტი, სადაც იდო ინფორმაცია გაეროს V საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, სადაც შესაძლებელი იყო მიმღო მონაწილეობა და გამეკეთებინა მოხსენება. დარეგისტრირების შემდეგ, მივიღე მონაწილეობა კონკურსში, სადაც გავიარე ჯერ ტესტირება, შემდეგ გასაუბრება. მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ხედვა და წარმოდგენა გაეროზე, თუ რა ვიცოდით მისი საქმიანობის შესახებ. 12 ბავშვი ვმონაწილეობდით, შერჩევის შემდეგ 4 ბავშვი მივდივართ ერთი კვირით. როდესაც 14 წლის ასაკში გაეროში წახვალ და იქ შენს ქვეყანას წარადგენ, უკვე დიდი წარმატებაა, სტიმული. 4 თემაზე ვმუშაობდით, ეს იყო სიღარიბე, გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა, მენტალური პრობლემები. ამ კონფერენციაში მონაწილეობენ როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნები. 12 თებერვალს გაეროს შტაბბინაში მე გავაკეთებ მოხსენებას სიღარიბის დაძლევაზე. პრეზენტაციის თემაში, რომელიც ჩემი ქალაქის მაგალითზე იქნება, უნდა ვაჩვენო სიღარიბის არსებობა და შემდგომში დაძლევის გზები, თუ როგორ ვხედავ ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას. ჩემი პრეზენტაციის მოწონების შემთხვევაში, მოხდება პროექტის დაფინანსება, რომელიც პრქტიკულ განხორციელებას ჰპოვებს ჩვენს ქალაქში. იმედი მაქვს, ჩემი მოხსენება მოწონებას დაიმსახურებს და გამოცდილებასთან ერთად ჩემი რაიონისათვის სასიკეთო საქმეს გაკეთებას შევძლებ.

ნინი დიპლომატიური კარიერის გაგრძელებას აპირებს, ეს კონკრეტული ფაქტი სამომავლოდ მისი პროფესიული კარიერის ხელშემწყობი იქნება.

იაგორ ჭილაშვილი - დიმიტრი ყიფიანის სიმამრი

იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი დაიბადა 1792 წელს დუშეთში. 1803 წელს იაგორის მამა, გაბრიელი, ზედმეტი სახელი გლახა, თავის ოჯახთან ერთად რუსეთში გაჰყვა ერეკლე II-ის ვაჟს ვახტანგ ბატონიშვილს. რუსეთში გაბრიელის ვაჟმა იაგორმა შესანიშნავი განათლება მიიღო ვახტანგის მზრუნველობით. იაგორმა თავდაპირველად მუშაობა დაიწყო რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ კოზოდავლევის მდივნად. შემდგომში მასონთა ლოჟის წევრი გახდა.

1813 წელს იაგორმა ჯვარი დაიწერა პრასკოვია პეტრეს ასულ პოპოვაზე მინისტრ კოზოდავლევის რჩევითა და ზეგავლენით.

1813 წლიდან იაგორი საგადასახადო დეპარტამენტში მუშაობს, 1815 წლიდან განათლების დეპარტამენტში. 1820 წლიდან ის საქართველოში თავისი თხოვნით იქნა გაგზავნილი, სადაც დიდ თანამდებობებზე მუშაობს(საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორის, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცლერის მმართველად და სხვა).

1826 წლიდან იაგორ ჭილაშვილი ისევ რუსეთშია, იუსტიციის სამინისტროში-ექსპედიტორის თანამდებობაზე, ხოლო 1827 წელს ინიშნება ფინანსთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა მოხელედ.

1830 წელს სენატორებთან–მეჩნიკოვთან და კუტაისოვთან ერთად რევიზიას აწარმოებს ამიერკავკასიაში.

1832 წლის შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში იაგორ ჭილაშვილს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად უპირებდნენ დანიშვნას.

შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, იაგორის კარიერა თითქმის დამთავრდა. მთავარმართლებლის ბრძანებით, 1838 წელს იგი გადაიყვანეს ლენქორანში, სადაც იმავე წელს გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. იაგორ ჭილაშვილი ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა შეთქმულების შემდეგ, ამიტომ გარდაცვალებისთანავე ჟანდარმერიის აგენტებმა აღწერეს იაგორ ჭილაშვილის მიწერ-მოწერა და სხვა ქაღალდებთან ერთად წამოიღეს თბილისში.

იაგორ ჭილაშვილი თავისი დროის უგანათლებულეს ადამიანად ითვლებოდა. მისი ნაშრომი ბუნებითი სამართლის შესახებ, მეტყველებს ავტორის ღრმა იურიდიულ და ფილოსოფიურ განსწავლულობაზე. იაგორმა ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი აქვს შ. მონტესკიესა და გ. გაბელის ცალკეული თხზულებები.

დიმიტრი ყიფიანი, რომლის მეუღლე იყო იაგორ ჭილაშვილის ქალიშვილი ნინო, ასე ახასიათებს იაგორ ჭილაშვილს:იაგორ ჭილაშვილი იყო ერთი იმ ქართველთაგანი, რომელმაც მიიღო რუსულ-ევროპული აღზრდა და განათლება, მან ჩინებულად იცოდა ქართველი ხალხის ისტორია".

ი. ჭილაშვილი თავის პროგრესულ შეხედულებებს და მოწინავე იდეებს, რამდენადაც შესაძლებლობა ჰქონდა, ახორციელებდა პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც მოხელე.

იაგორ ჭილაშვილი კარგად იცნობდა გრიბოედოვს. აი, რას წერს გრიბოედოვი პასკევიჩს თავრიზიდან იაგორ ჭილაშვილის შესახებ: "მიიღეთ მხედველობაში კარის მრჩეველი ჭილაშვილი, რომელიც ოდესღაც პროკურორად იყო თბილისში. მას ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთხოვია, მაგრამ ჩემი თბილისში ყოფნის დროს, ძლიერ მოსურნე იყო იმისა, რომ მისი პიროვნება თქვენი ბრწყინვალებისათვის ცნობილი გამხდარიყო. ყველა იცნობს მას, როგორც უაღრესად კეთილგამძრახველსა და მარჯვე ადამიანს, რომელმაც კარგად იცის კანონები. და ბოლოს, ის ქართველია, რომლისნაირსაც ნაკლებად შევხვედრილვართ–ევროპული განათლებითა და ზნეობით. ნინო აგრეთვე მოგმართავთ თქვენ თხოვნით ამის შესახებ. ამას ის პირდაპირ ვერ ბედავს, მაგრამ გვერდით მიდგას და მაიძულებს, ამის შესახებ ძლიერ ბეჯითად გთხოვოთ!"

1822 წლის 6 თებერვალს, ერმოლოვისადმი მოხსენებაში, იაგორ ჭილაშვილი წერდა: "საპროკურორო ზედამხედველობის საქმე მძიმე მდგომარეობაშია, პროკურორს მაზრებში არ ჰყავს სათანადო მოხელე, რომ უწესრიგობის შესახებ აცნობოს მას საჭირო ზომების მისაღებად. ბოროტ-მოქმედებანი მაზრებში დაუსჯელი რჩება. ამის გამო "უცოდინარ და ღარიბ მოსარჩელეს ან მოპასუხეს... სასამართლოში დაკეტილი აქვს გზა-გამართლებისა". პროკურორს არ აქვს საშუალება აკრძალოს უკანონო და თვითნებური გადასახადები, ვერ ღებულობს სათანადო ზომებს მექრთამეობის წინააღმდეგ და სხვა.

საყურადღებოა ის, რომ ი. ჭილაშვილი თავის ერთ-ერთ ბრძანებაში ერმოლოვისადმი, გამოთქვამს თავის შეხედულებებს დანაშაულსა და სასჯელზე: სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულს, ხოლო დამნაშავეში უნდა ვხედავდეთ ადამიანს და მის უკან მის ოჯახს.

1828 წლის 13 ივნისის მოხსენებაში მთავრობისადმი ყურადრებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ გლეხთა გადასახადები მოუწესრიგებელია, ფეოდალები თვითნებურად აწესებდნენ გადასახადებს და საჭირო იყო ამ თვითნებობის აღკვეთა. ამ მოხსენების საფუძველზე შესწავლილი იქნა გლეხთა გადასახადები და გამოირკვა, რომ მართლაც ფეოდალები საოცარ თვითნებობას იჩენდნენ გადასახადების საკითხში. ამ შესწავლის შედეგად ფეოდალების თვითნებობა რამდენადმე შეიზღუდა.

როგორც აღვნიშნეთ, მისი ნაშრომი "ბუნებითი სამართლის შესახებ", მეტყველებს მის განსწავლულობაზე და მასში გამოთქმული აქვს პოლიტიკური შეხედულებები. ნაშრომის პირველ თავში ავტორი წერს: "ადამიანი იბადება შეგრძნებების უნარით. მისი შეგრძნებანი დაკავშირებულია სიამოვნებასა და მწუხარებასთან. ადამიანი აკვირდება ამ შეგრძნებათა მიზეზებს, ამ დაკვირვების შედეგად შეიცნობს სიკეთესა და ბოროტებას. მისწრაფის პირველობისაკენ და ერიდება მეორეს, საერთოდ კი, სწავლობს თავის სიოცხლის დაცვას, მის შენარჩუნებას. ამაში ის ხელმძღვანელობს ბუნების კანონებით!"

ავტორის აზრით, ადამიანი წარმოშვა ბუნებამ იმისთვის,რომ იცხოვროს. ბუნებამ გაუჩინა ადამიანს მოთხოვნილებანი და ამავე დროს მისცა მას ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი "ბუნებამ განუწესა ადამიანს, დატკბეს ცხოვრებით".

ნაშრომის მეორე თავი ეხება შრომას, განათლებას და თანაცხოვრებას.

არსებობისთვის ბრძოლის პროცესში ადამიანს უჩნდება ახალი საჭიროებანი, ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებაზე არის დამყარებული ადამიანის ბედნიერება და ამგვარი საჭიროებანი აუცილებელია და წმინდათაწმიდა. ასეთი საჭიროებანია: შრომა, განათლება და თანაცხოვრება.

შრომა, ავტორის აზრით, ნიშნავს საგნებისადმი დამოკიდებულებას, რომელიც შრომისათვის არის საჭირო და ადამიანს სჭირდება თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება შეიძინოს, დაეუფლოს და მოიხმაროს ეს საგნები, ბუნება თვითონ უკარნახებს ამ საგნების საჭიროებას ადამიანებს. ეს საჭიროებანი კი განსაზღვრავენ ადამიანის ბედს.

ადამიანში შრომის დროს ჩნდება ახალი მოთხოვნილებები, სულიერი მოთხოვნილებები, სულიერი თვისებები, სულიერი უნარი, ნიჭი. უჩნდება სურვილი, გაიგოს მოვლენათა მიზეზები და შედეგები, რომელსაც იძლევა განათლება. როგორც ვხედავთ-განაგრძობს ავტორი-განათლება ღებულობს სათავეს სულიერი ცხოვრებიდან, სულიერი უნარიდან. ადამიანი, რომელიც განათლებით ხელმძღვანელობს, ყველა თავის შესაძლებლობებს, უნარს წარმართავს განათლების მიერ ნაჩვენები გზით. ამით ის თავიდან აიცილებს უბედურებას, რომელიც შესაძლებელია შეხვედროდა გაუნათლებლობის შემთხვევაში და იპოვის ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას.

გარდა ამისა, განაგრძობს ავტორი-ადამიანს აქვს ქორწინებისაკენ მიდრეკილება. ქორწინების შედეგად იბადებიან ბავშვები,რომელთაც ზრდიან მშობლები და საჭიროებენ მშობლების მზრუნველობას. ოჯახი არის თანაცხოვრების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, ეს კი,ამტკიცებს ავტორი, ნიშნავს, რომ თანაცხოვრება თვით ბუნების მიერ არის დაწესებული.

ნაშრომის მესამე თავი ეხება სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს (საკუთრების უფლებას, ხელშეუხებლობას).

ადამიანთა გაერთიანებაში წარმოშობა, ადამიანთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რომელიც იმის შეცნობაზეა დაფუძნებული, თუ ბუნებით თითოეულ მათგანს რა ეკუთვნის, რას მოითხოვს ერთი მეორისგან და რა ვალდებულებები აქვს ერთს მეორისა.

ავტორის აზრით, ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს ბუნებით, შეუძლია ისარგებლოს, როგორც თავისი საკუთრებით, თავისი სხეულებრივი და სულიერი ნიჭით, უნარით და ამას ეწოდება ბუნებრივი თავისუფლება.

"არ არსებობს თავისუფლება პირადი საკუთრების გარეშე, არ არსებობს პირადი საკუთრება თავისუფლების გარეშე და არ არსებობს ადამიანის კეთილდღეობა მათ გარეშე".

"პირადი საკუთრება და თავისუფლება თითოეული ადამიანისა, არის ხელშეუვალი და წმიდათაწმიდა", რომელიც შეუძლია ძალის მეშვეობით დაიცვას, თუ ამ საკუთრებას და თავისუფლებას ემუქრება საფრთხე.

ავტორი ნაშრომში ეხება მოძრავი საგნების საკუთრებას და მიწის საკუთრებას და აღნიშნავს, რომ მოძრავი და მიწის საკუთრება წარმოიშობიან საჭიროებისა და პირადი საკუთრებისაგან და ამიტომაცჩაითვლებიან ისინი ბუნებიდან მომდინარედ.

ავტორი განიხილავს ხელშეკრულების საკითხს, ადამიანები ურთიერთის დახმარების აღმოსაჩენად შეთანხმდებიან და დებენ ამის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც უნდა ემყარებოდეს ადამიანის ნებას და თავისუფლებას და ემსახურებოდეს ორივე მხარის ინტერესებს. ამიტომ მხარეები ბუნებრივად ვალდებულები არიან, დაიცვან ხელშეკრულების პირობები და თუ ერთი მხარე არ ასრულებს ამ პირობებს, მეორე მხარეს შეუძლია აიძულოს მათი შესრულება.

ამრიგად, ავტორი თავის ნაშრომში ბუნებითი სამართლის მომხრეა და მრავალ საკითხს ბუნებითი სამართლის პოზიციებიდან იხილავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებითი სამართლის თეორია ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს და ამ დროს განმანათლებლობისათვის მათი თეორიის ბირთვი იყო "ბუნებითი სამართალი" და "საზოგადოებრივი ხელშეკრულება".

ასე, რომ ი. ჭილაშვილის ეს ნაშრომი განმანათლებელთა იდეებით არის განმსჭვალული.

ტერმინი "განათლების ეპოქა" ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში შემოღებულ იქნა დასავლეთ ევროპის XVII-XVIII საუკუნეების პერიოდის დასახასიათებლად. "განათლების ხანა" ამ შემთხვევაში არის გონებისა და განათლების გამარჯვების ხანა; მეცნიერებამ, განათლებამ, გონებამ გაიმარჯვა შუა საუკუნეების ფეოდალურ-კლერიკალურ რეაქციაზე, სარწმუნოებრივ უვიცობასა და სქოლასტიკურ ცრუმეცნიერებაზე.

განმანათლებელთა იდეოლოგიის თავისებურებანი იმითაც არის განპირობებული, რომ ისინი თავიანთ შრომებში ხშირად ბუნებითი სამართლის თეორიას იყენებდნენ.

ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, კონკრეტულ-ისტორიული ვითარების მიხედვით, ბუნებითი სამართლის იდეები ხან რეაქციის საქმეებს ემსახურებოდა, ხან კიდევ პროგრესისას. საერთოდ კი, ბუნებითი სამართლის იდეები გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავდნენ ყველგან, მაგრამ კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო კლასთა ურთიერთობა, ბუნებითი სამართლის იდეებიც ამის შესატყვისად მოქმედებდნენ.

ვიწრო გაგებით, განმანათლებლები არიან ის მოღვაწეები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ფეოდალიზმის უარყოფით მხარეებს, გმობდნენ ბატონყმობას,მაგრამ არ იყვნენ მოსული რევოლუციის გზით.

რუს განმანათლებელთა იდეისტურ-მატერიალისტური სკოლა, რომლის წარმომადგენელი იყო იაგორ ჭილაშვილი, XIX საუკუნის პირველ მეოთხედს ეკუთვნის. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში რეაქციულ-პოლიტიკურმა დესპოტიზმმა ყველაზე უფრო უხეში და შიშველი სახე მიიღო, როდესაც ალექსანდრე I-ს სამხედრო დასახლებათა გზით რუსეთი უზარმაზარ ყაზარმად უნდოდა გადაექცია. ამ დროს იაგორ ჭილაშვილი, თავის შრომაში წერს: "ადამიანი ხელმძღვანელობს რა ბუნებითი კანონით, შეუძლია თავისი ნებასურვილის მიხედვით გამოიყენოს თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობანი", ე.ი მას შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს, რომ ადამიანი ბუნებითი სამართლის მიხედვით თავისუფალია. ავტორი განაგრძობს: "ადამიანის პირადი საკუთრება და თავისუფლება უნდა იყოს წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი".

იაგორ ჭილაშვილი წერს: "ყველა ადამიანი თავისუფალია; ყველა ადამიანი თანასწორია, ურთიერთშორის პირადი საკუთრებისა და თავისუფლების მიხედვით. არც ერთ მათგანს არავისი ვალი არ აქვს, ანუ რაც ერთს მართებს მეორესი, ასევე მართებს მეორეს პირველის".

იაგორ ჭილაშვილი თავის შრომაში ადამიანის თავისუფლებას წმიდათაწმიდად თვლის მაშინ, როდესაც ბატონყმურ რუსეთში სწორედ ეს თავისუფლება არ იყო. მაშასადამე, იაგორ ჭილაშვილი არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ იდეებს ატარებს ამ შრომაში,ამიტომ თავის შინაარსით ეს ნაწარმოები პროგრესული იდეების შემცველია და ფეოდალური წყობილების კრიტიკასაც წარმოადგენს, თუმცა ფეოდალიზმის წინააღმდეგ პრაქტიკულ ბრძოლაში არ ჩაბმულან და თეორიულ მსჯელობას არ გასცილებიან.

იაგორ ჭილაშვილის შეხედულებათა პროგრესული იდეები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს იდეები გამოთქმულია XIX საუკუნის რუსეთის სინამდვილეში, როდესაც რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში მზადდებოდა ნიადაგი დეკაბრისტების მოღვაწეობისათვის, ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაშრომში ასახულია იაგორ ჭილაშვილის ფილოსოფიური შეხედულება სამყაროს შეცნობის შესახებ, ის ასაბუთებს სამყაროს შეცნობის პრინციპს და ამ შეცნობის პრაქტიკული შედეგების მნიშვნელობას.

გივი გელაშვილი

ხაშური, მთელი ქვეყნის მასშტაბით მუდამ გამოირჩეოდა წარმატებული სტუდენტების სიმრავლით, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში თუ ინსტიტუტებში იმაღლებენ ცოდნას. საბედნიეროდ, არც ახლაა გამონაკლისი. ჩვენ ვცდილობთ, ასეთი სტუდენტები დროდადრო გავაცნოთ მკითხველს. დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს **გიორგი ბარბარიანს** წარმოგიდგენთ, რომლის მცირე ნაშრომშიც კარგად ჩანს, რომ ნიჭიერ ახალგაზრდასთან გვაქვს საქმე.

***

თამაშთა თეორია

თამაშთა თეორია არის მათემატიკური ეკონომიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს კონფლიქტურ სიტუაციებს სუბიექტებს შორის და მათ სტრატეგიებს. მისი გამოყენება ეკონომიკას სცილდება და შეიძლება სხვა ნებისმიერი სფეროც მოიცვას. პირველად მის შესახებ მე-18 საუკუნეში გამოითქვა მოსაზრება, ხოლო მათემატიკური აპარატი და ეკონომიკური თეორიის გაერთიანება შემოგვთავაზეს ჯონ ნეიმანმა და ოსკარ მორგენშტერმა წიგნში „თამაშთა თეორია და ეკონომიკური ქცევა“. 50-ანი წლების დასაწყისში ჯონ ნეშმა დახვეწა ეს თეორია და შემოგვთავაზა ახალი ანალიზის მეთოდი, რომელსაც „ნეშის წონასწორობა უწოდეს“. წონასწორობა ეწოდება ისეთ სიტუაციას, როდესაც მოთამაშეებს არ შეუძლიათ გაიუმჯობესონ სიტუაცია მისი კონკურენტის მდგომარეობის ცვლილების გარეშე. ნეშის აზრით ადამ სმითის მიდგომა, როდესაც ყველა თავისთვის მოქმედებს (იხილეთ მის ცნობილ წიგნში ეკონომიკური ადამიანის განმარტება) არაოპტიმალურია. უმჯობესია სიტუაცია, როდესაც სუბიექტი სხვისი მდგომარეობის გაუმჯობესებით უკეთეს მდგომარეობაში ხვდება.

	B - უარყოფა	B - აღიარება
A - უარყოფა	ორივეს მისცემენ ნახევარ წელს	10 წელს მისცემენ A - ს, ხოლო B - ს გაათავისუფლებენ
A - აღიარება	10 წელს მისცემენ B - ს, ხოლო A - ს გაათავისუფლებენ	ორივეს აძლევენ 2 წელს

თამაშთა თეორია მარტივ მაგალითზე ავხსნათ. დავუშვათ, რომ ციხეში უნდა ჩასვან ორი ეჭვმიტანილი, ამასთან მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ აქვთ. პოლიცია ვარაუდობს, რომ მათ ერთად ჩაიდინეს დანაშაული და უპირატესობას მიანიჭებს იმას, ვინც ითანამშრომლებს გამოძიებასთან. თუკი ერთი აღიარებს დანაშაულს, გამოდის რომ ორივე დამნაშავეა და უარყოფას აზრი ეკარგება. ეჭვმიტანილებს ორი არჩევანი აქვთ: ან უნდა აღიარონ დანაშაული, ანდა უარყონ იგი. პირობითად აღვნიშნოთ A და B.

თუ შევხედავთ, ორივესთვის უმჯობესია თუკი აღიარებენ დანაშაულს. ეს არ არის საუკეთესო არჩევანი, რადგან თუკი ორივე უარყოფდა დანაშაულს, მაშინ მხოლოდ ნახევარ წელს მისცემდნენ, მაგრამ რადგანც კონტაქტი არ აქვთ ერთმანეთთან, აღიარებას ამჯობინებდნენ. ეს ლოგიკა გამომდინარეობს ადამ სმითის ეკონომიკური ადამინის მსჯელობიდან (ყველაზე ფიქრობს სათავისოდ). თუკი მეორის კეთილდრეობაზე იფიქრებდნენ, მაშინ ორივე მოგებული დარჩებოდა და ნახევარ წელს მიიღებდნენ მხოლოდ.

ეს, ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი მაგალითი, გამოიყენება იმ დარგებში, სადაც ოლიგოპოლიური ფირმები მოქმედებენ. თუ ფირმებს სურთ ახალი ქარხნის აშენება, მაშინ სწორედ ასე მოქმედებენ ისინი. ჯონ ნეშმა აღნიშნული შრომისათვის ნობელის პრემია მიიღო 1994 წელს. მისი ცხოვრების შესახებ გამოვიდა მხატვრული ფილმი „ბრწყინვალე გონება“ .

თამაშთა თეორიამ დღესდღეობით დიდი გამოყენება ჰპოვა. ის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ თამაშებშიც, როგორიცაა: დომინო, ჭადრაკი, ბანქო, ზოგიერთი სპორტული თამაში და ა.შ. ფეხბურთში იგი გამოიყენება პენალტების სერიის დროს. მეკარეს აქვს არჩევანი მარჯვნივ გადახტეს, მარცხნივ, თუ შუაში დარჩეს. მოდიფიკაცია შეეხება ასევე თამაშის პირობებსაც. მოთამაშეები თანმიმდევრულად როცა აკეთებენ სვლებს, ერთდროულად და ა.შ. სუბიექტებს შეიძლება სრული ინფორმაცია, ან არასრული ინფორმაცია ჰქონდეთ.

თამაშთა თეორიის სრულყოფა გრძელდებოდა და ჩნდებოდა ახალი ვარიანტები მისი გამოყენების. ებრაელმა ეკონომისტმა რობერტ აუმანმა და ამერიკელმა ეკონომისტმა ტომას შელინგმა თეორიის გაღრმავებისათვის 2005 წელს ნობელის პრემია მიიღეს. შელინგის შრომები შეეხება უმეტესად კონფლიქტურ სიტუაციებს და შედარებით ადვილია მისი გაგება, ხოლო აუმანი პროფესიით მათემატიკოსია და თამაშთა თეორიაში მათემატიკურ აპარატს აქტიურად იყენებდა. ორივე ეკონომისტმა დიდი შრომა გაწია ამ საქმეში და არამხოლოდ ფირმები, არამედ სახელმწიფოებიც იყენებენ მათ თეორიებს.

აუმანის და შელინგის აზრით, ნეში წონასწორობა შეიძება იყოს არამხოლოდ ერთ წერტილში, არამედ რამდენიმე ოპტიმალური ვარიანტი არსებობდეს. აუმანი იკვლევდა ადმიანთა ქცევას თამაშთა თეორიის დროს და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი ირაციონალურად იქცევიან და როგორც ადამ სმიტი ამბობდა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობენ. მან ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარა: ორ ადამიანს შორის ნაწილდებოდა 100 გერმანული მარკა, ამასთან ისინი ცალ-ცალკე კომპიუტერთან სხდებოდნენ. ერთ-ერთი შეთავაზებას აკეთებდა ნებისმიერ თანხაზე, მაგალითად 70 მარკას თვითონ აიღებდა და დანარჩენს – მეორე. თუკი დათანხმდებოდა მეორე მონაწილე, მაშინ იგი 30-ს აიღებდა, თუ უარს იტყოდა მაშინ ვერაფერს მიიღებდა და თამაში მთავრდებოდა. ამ ექსპერიმენტში ბევრი წყვილი ჩართეს და როგორც გამოჩნდა, თამაში უმეტესად ისე მთავრდებოდა, რომ მეორე მონაწილე ვერაფერს იღებდა.

პირველი მონაწილე უმეტესად 99 მარკას იღებდა და 1-ს სთავაზობდა მეორე მონაწილეს, იგი, როგორც წესი, უარს ამბობდა. ეს ირაციონალური ქცევაა, რადგან არაფერს 1 სჯობს. ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ თუკი 20 მარკაზე ნაკლებს სთავაზობდნენ მეორე მონაწილეს, მაშინ იგი უარს ამბობდა. ეს, მართლაც გასაოცარი მოვლენა იყო, რომელიც უარყოფდა იმ მოსაზრებას, რომ ადამიანები ყოველთვის რაციონალუად იქცევიან. ეს ექსპერიმენტი მოიაზრებდა იმ შემთხვევას, რომ მონაწილეები მხოლოდ ერთხელ აკეთებდნენ სვლას. აუმანის აზრით შედეგები განსხვავდება, თუკი მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ რამდენიმე სვლა გააკეთონ.

თავის ნაშრომში „ომი და მშვიდობა“ მან განიხილა გრძელვადიანი კონფლიქტები (მაგალითად ომი არაბებსა და ისრაელს შორის), რომელიც განმეორებადი თამაშის მსგავსია: მან დაამტკიცა, რომ ასეთ დროს მშვიდობიანი მოლაპარაკებები ბადებს ახალ კონფლიქტს. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ პრაგმატული დასკვნა, რომ თუ გვინდა კონფლიქტი აღვკვეთოთ, უნდა შევქმნათ ომის საშიშროება. აუმანის კონცეფციის მიხედვით, თუ გვინდა მშვიდობა, ომისათვის უნდა მოვემზადოთ. თუკი არსებობს აგრესორი, თუკი მეორე მხარე მზად იქნება კონფლიქტისთვის, მაშინ ნაკლები შანსია, რომ ომი მოხდეს. აუმანის ეს პოსტულატები გამოყენებული იყო პრაქტიკაში და იგი თავად მუშაობდა ამერიკისათვის კონფლიქტების განიარაღების მიმართულებით.

ასევე, პარადოქსული შემთხვევა მიიღო ტომას შელინგმა. მან შემდეგი მაგალითი შემოგვთავაზა: დავუშვათ, ორი მანქანა მიდის გზაზე ერთმანეთისკენ. ამასთან, თუკი არცერთი გადაუხვევს, მაშინ ორივე დაიღუპება, ხოლო ვინც გადაუხვევს იგი იქნება დამარცხებული. დავუშვათ, ერთ-ერთმა მონაწილემ გადაწყვიტა რისკზე წავიდეს და მთელი სიჩქარით წავიდა. მისი მოწინააღმდეგე ხვდება უკვე, რომ შეტაკება გარდაუვალია და რა გვერდზე გადადის გზიდან და დამარცხებულიც ისაა. ესაა პარაქდოქსი, რადგან ის იმარჯვებს, ვინც სიტუაციაზე კარგავს კონტროლს და სხვა გზას აღარ იტოვებს.

შელინგმა თამაშთა თეორიის ახალი ასპექტები განიხილა წიგნში კონფლიქტების სტრატეგია, რომელიც 1960 წელს გამოსცა. აუმანის მსგავსად, იგი მუშაობდა კონფლიქტებზე, კერძოდ ბირთვულ ომზე. იგი განიხილავდა ასევე სოციოკულტურულ პრობლემებს, როგორიცაა გეტოს წარმოშობა, „ჩინური კვარტალის“ წარმოშობა და ა.შ. შელინგს მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მისი იდეები გაზიარებული იქნება ვიეტნამის ომის დროს და ცუდი შედეგები მოიტანა. მისი სტრატეგიის გაზიარების შემდეგ დაიღუპა 2 მილიონი ადამიანი და ვერ შესრულდა ვერცერთი მიზანი, რაც იმ დროისთვის დაგეგმილი იყო.

სტატიაში შევეცადე განმეხილა თამაშთა თეორია, თუმცა მისი გამოყენების სფერო ძალიან დიდია და მხოლოდ იმით არ შემოიფარგლება, რაც ზემოთ განვიხილე. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ორჯერ გაცემული ნობელის პრემია და ასევე დღესაც მიმდინარეობს მისი გაღრმავება და სხვადასხვა კონფერენციები ტარდება ამ მიმართულებით.

120 წლის ბიბლიოთეკა განახლებული სახით წარუდგა მკითხველს

სურამის ბიბლიოთეკას 120 წელი შეუსრულდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა. ლენტი კი საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ირინე გელაშვილმა გაჭრეს. ბიბლიოთეკის თანამშრომლების ორგანიზებით დამსწრეთათვის ღონისძიება გაიმართა. სტუმრები ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებმა ქართული ცეკვებით, სიმღერებით, ლექსებით დაატკბეს და გაახალისეს. ბიბლიოთეკის გახსნას ასევე ესწრებოდა სურამის და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმეონი. მეუფემ ისაუბრა წიგნის სიკეთეზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წიგნი ბავშვის სულიერი განვითარებისათვის.

რუსუდან ასათიანი, საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი: ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია 120 წლისთავი სურამის ბიბლიოთეკისათვის. იგი წყალდიდობის შემდეგ ნამდვილად სავალალო მდგომარეობა იყო და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებდა. მადლობა მინდა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტს გაწეული სამსახურისთვის, ასევე, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, მათ მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწიეს დღევანდელ შედეგს.

მაკა დიდებულიძე, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი: დღევანდელი დღის წარმატება ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგია. უღრმესი მადლობა ირინე გელაშვილს, რომელიც, ასე ვთქვათ, სურამის ელჩია მუნიციპალიტეტში და რომლის ძალისხმევითაც ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოიყო თანხები სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. ასევე, მინდა, აღვნიშნო „სოკარ ჯორჯია გაზის” ხაშურის სერვისცენტრის მენეჯერის კახაბერ ზარნაძის წვლილი: მისი დამსახურებაა, რომ სურამის ბიბლიოთეკას ცენტრალური გათბობა აქვს. ბოლოს, ხაზს გავუსვამ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ჩვენ გვექნება როგორც ბიბლიოთეკის, ასევე საინფორმაციო ცენტრის სტატუსიც. ნებისმიერ მსურველს შეეძლება მივიდეს ბიბლიოთეკაში და ყველა სახის საჯარო ინფორმაცია მიიღოს. ვფიქრობ, ნამდვილად კარგი და სასარგებლო ინიციატივაა.

ვიმედოვნებთ, ეს ფაქტი წიგნისკენ შემოაბრუნებს მკითხველს, რომელსაც შესაძლებლობა ექნება მყუდრო, ინტელექტუალურ გარემოში წაიკითხოს წიგნები და სულიერად განვითარდეს.

თ. იაშვილი

ქველმოქმედება - ცხოვრების წესი

ჩვენს მკითხველს 2015 წელს უამრავი ინფორმაცია მივაწოდეთ იმ ქველმოქმედებების შესახებ, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტმა გასწია მოსახლეობისთვის. ამ კუთხით, გასული წლის დამაგვირგვინებელ ი აქცია გახლდათ იმ საახალწლო საჩუქრების მთელი ნუსხა, რომელიც გადაეცათ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ წაღვლის ალტერნატიული

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოჯახებს, რომლებსაც 5 და მეტი შვილი ჰყავთ. აქციაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომლის ინიციერებითაც მოხდა ეს ქველმოქმედება და ხაშურის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლობის თანამშრომლები.

„ბიბრაუნდს“ ახალი ჩეჰიონი ჰუაკს

29 დეკემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებული, უკვე ტრადიციად ქცეული „ბიგ რაუნდი“ გაიმართა. ინტელექტუალურ ღონისძიებაში ხაშურის რაიონის ჩვიდმეტი სკოლა მონაწილეობდა. თამაში საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა, ფინალში სამი სკოლა ერთნაირი შედეგებით გავიდა, ამიტომ დაინიშნა დამატებითი ტური, რის შემდეგაც ადგილები ასე გადანაწილდა, მესამე ადგილი-ნაბახტევის საჯარო სკოლა, მეორე-მეცხრე საჯარო სკოლა, ხოლო პირველი-ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საჯარო სკოლა. ყველა მონაწილეს სიმბოლურად გადაეცა საახალწლო სუვენირი, ხოლო თითოეულმა გამარჯვებულმა გუნდმა პრიზად სიბრძნის სიმბოლო - ბუ მიიღო.

ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ პროექტ „საპოვნელას“ გამარჯვებულებიც. შემოქმედ პატარებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

ამერიკის საელჩოს საგრანტო კონკურსი

5 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში არსებულ ამერიკის კუთხეში, გაიმართა შეხვედრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამების კოორდინატორებთან. წარმომადგენლებმა დეტალურად გააცნეს დამსწრეებს არსებული პროგრამის შესახებ. მცირე გრანტების პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს არაკომერციულ, არასამთავრობო, საგანმანათლებლო და მედიაორგანიზაციებს. კომისია გასცემს გრანტს, რომელიც მაქსიმუმ 24 000 აშშ დოლარს შეადგენს, შემდეგი მიმართულებით, ესენია: სამოქალაქო ჩართულობა, საარჩევნო სისტემის ხელშეწყობა, გარემოს დაცვა, მასმედიის განვითარება, რაც ძირითადად მოიცავს პროფესიულ ზრდას და ჟურნალისტური ეთიკის ხელშეწყობას.

შეხვედრისას დიდი ადგილი დაეთმო გაცვლითი პროგრამების განხილვასაც. ისაუბრეს ისეთი გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობაზე, როგორებიცაა „ფლექსი“ და „ალუმნი.“ ყურადღება გამახვილდა ასევე წიგნების თარგმნის პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ითარგნოს, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურაც.

შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული და საინტერესო იყო. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ გაღრმავებული ცოდნა და შეძენილი გამოცდილება საკუთარი ქვეყნის განვითარებისკენ მიმართონ.

საახალწლო საჩუქარი ეტლით ამოსარბენლებს

6 იანვარს, საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის” ხაშურს საქველმოქმედო აქციით ესტუმრნენ. საერთაშორისო ასოციაციის თავჯდომარემ მაია კვეზერელი-კოპაძემ ხაშურის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების” მხარდაჭერით 19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სპეციალური ეტლები გადასცა. ეტლები გადაეცა როგორც ქალაქ ხაშურის, ასევე რაიონის სოფლებში მცხოვრებ შ.შ.მ. პირებს. აქციის ფარგლებში მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გადაეცათ ჰუმანიტარული ტანსაცმელი.

საერთაშორისო ასოციაციის თავჯდომარე, **მაია კვეზერელი-კოპაძე:** აღნიშნული აქცია პირველი არ იყო, ჩვენ 2011 წელს ვიმყოფებოდით ხაშურში და მაშინაც გადავეცით ეტლები შ.შ.მ. პირებს. დიდი მადლობა ხაშურის მუნიციპალიტეტს და საკრებულოს ფრაქცია „ქართულ ოცნებას” გვერდზე დგომისთვის. ასევე, უღრმესი მადლობა ჩვენს დონორ ორგანიზაციას „უკანასკნელ დღეთა წმინდანები-იესო ქრისტეს ეკლესია,” სწორედ მათ შეიძინეს სტანდარტული და ყველგანმავალი ეტლები, ერთი ეტლის ღირებულება 370 დოლარს შეადგენს. ეს არის ამერიკული ქრისტიანული ორგანიზაცია, რომლის დახმარებით და მხარდაჭერით, ასოციაცია ყოველწლიურად, თბილისში და საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ასობით შ.შ.მ. მოქალაქეს უსასყიდლოდ გადასცემს ეტლებს.

„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის” წარმოადგენს არაპოლიტიკურ, არაკომერციულ, საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც თითქმის 23 წელია აკეთებს კეთილ საქმეს და რომლის ძირითადი მიზანია: მსოფლიო ქალთა სამშვიდობო მოძრაობაში ჩართვა, ზრუნვა მოქალაქეთა ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე და საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მოთავსებულ და ქუჩის ბინდარ ბავშვებზე ზრუნვა. ასევე ხელს უწყობს პიროვნების უფლებათა დაცვას და სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა ფრაზამ, რომ არ არსებობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, არსებობს შეზღუდული დამოკიდებულება მათ მიმართ. პირიქით, მათ უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. მათ შეუძლიათ ხატონ, წერონ, იმღერონ, დასაქმდნენ, დაკავდნენ სპორტით. უნდა ვეცადოთ, რომ შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ და მხოლოდ უსარგებლო სიბრალულით არ შემოვიფარგლოთ. მათ ხომ სურთ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება და შეუფერხებლად გადაადგილდნენ ქუჩაში, ჩვენ კი ნაცვლად თანაგრძნობის გამომხატველი ფრაზებისა, შევეცადოთ ჩვენივე ძალებით მოვუგვაროთ პრობლემები და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მოვიღოთ.

ეს საქველმოქმედო აქცია, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. კარგი იქნება თუ ქველმოქმედებას ჩვენი ცხოვრების წესად გავიხდით და უფრო და უფრო მეტ კეთილ საქმეში მივიღებთ მონაწილეობას, რითაც გავახარებთ სხვასაც და ჩვენ თავსაც სიამოვნებას მოვგვრით.

თ. ახალეკანი

აკაკი გრიგალაშვილის ხსოვნა

91 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი პედაგოგიური ღვაწლის მქონე, სოფლის მოამაგე, საუკეთესო მეურნე, კარგი მეოჯახე და შვილების აღმზრდელი მამა - აკაკი გრიგალაშვილი.



იგი დაიბადა 1925 წლის 11 თებერვალს ხაშურის რაიონის სოფელ ტკოცაში. დაამთავრა ჯერ ხაშურის პედაგოგიური სასწავლებელი-1942 წელს, 1943-45 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია, რისთვისაც მიღებული აქვს ომის ვეტერანის წოდება. სამამულო ომიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლა განაგრძო ქ.გორის პედაგოგიური ინსტიტუტში, (1946-1952 წწ) გეოგრაფიის სპეციალობით და თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა სოფელ ტკოცაში მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს, რადგანაც სკოლა გახდა მისი მთავარი საზრუნავი. აკაკი გრიგალაშვილის სახელთანაა დაკავშირებული სოფლის დაწყებითი სკოლის გადაკეთება რვაწლიან სკოლად, რომლის პირველი დირექტორიც თვითონვე იყო დიდი ხნის განმავლობაში.

აკაკი გრიგალაშვილის დამსახურება კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრების საქმეში დიდია. დღესაც არსებობს სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რის შექმნაშიც მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობითაა მოპოვებული ის ექსპონატები, რასაც ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის გაცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

აკაკი გრიგალაშვილს, (იყო უმაღლესი კატეგორიის მქონე პედაგოგი) დაწერილი აქვს სოფელ ტკოცის წარმოშობის ისტორია, გამოკვლეული აქვს აქ მოსახლე გვარების ჩამოსახლებები, თუ საიდან ჩამოვიდნენ ისინი და როგორ შენდებოდა სოფელი. აგრეთვე შესწავლილი ჰქონდა სოფლის ტერიტორიაზე არსებული ძველი ისტორიული ადგილები, როგორებიცაა: „მუხები“, „დუღაბის ბეღლები“ „გვირაბი“, „კორომი ფიჭვები“, „სამარხი გორგოტი“. ამ ნაშრომებს იგი აცნობდა სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობას, რითაც უდიდეს პატრიოტულ გრძნობას და ინტერეს უჩენდა თავიანთი სოფლისადმი. ნაშრომები ამჟამად დაცულია სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის სასკოლო მუზეუმში.

ხანგრძლივი იყო აკაკი გრიგალაშვილის შრომა, 1984 წელს მას მიღებული აქვს მედალი „შრომის ვეტერანი“; ორი წლის წინ დატოვა აკაკი გრიგალაშვილმა სკოლა. მანამდე შრომობდა დაუღალავად, შესაშური ენერგია ჰქონდა, იყო კარგი მაგალითის მიმცემი და ასეთად დარჩება იგი ჩვენს გულებში.

სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია
და პედაგოგიური კოლექტივი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.